

2013 წელი, 21-27 ნოემბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი




ახალი ტანათლეტა

№35 (629) გამოსვლის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ომის ხიბლი Charms of War



გვერდი 4

კონკურსი

კონკურსი უფროსკლასელებს
„ზრდილი ხელსაწყო და
ხელმწიფა“

გვერდი 3

მშობლებთან ერთად

გაფანტული გვერდი

ვეფხისტყაოსნის წიგნების

გვერდი 5

სასარტიფიკაციო გამოცდა

გიოლოგიის და გეოგრაფიის
პედაგოგთა დასახელებლად

გვერდი 6-7



ქიმიკი

საატმოსფერო გამოცდისთვის
ლ. მატრეველი

ფასი - 6 ლარი

ფიზიკა

საატმოსფერო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

ფასი - 6 ლარი

ბიოლოგია

საატმოსფერო გამოცდისთვის
ლ. ბურდულიძე, დ. ბარამიძე,
ქ. მადრაძე, ნ. სინარულიძე,
მ. ბაბალიშვილი

ფასი - 4 ლარი

გეოგრაფია

საატმოსფერო გამოცდისთვის
ბ. ჭანტურია, მ. ბლიაძე

ფასი - 6 ლარი

ბიოლოგია

კონსპექტი საატმოსფერო
გამოცდისთვის
მ. მაყაშვილი

ფასი - 3.50 ლარი

ქიმიკი

დამხმარე სახელმძღვანელო
უფროსკლასელებისა და
აბიტურიენტებისათვის
შ. პატრიკაშვილი,
ნ. მაისურაძე

ფასი - 7.50 ლარი

საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია

XI-XII კლასები,
კონსპექტი საატმოსფერო
გამოცდისთვის

ბ. ლორთქიფანიძე

ფასი - 6.50 ლარი

მათემატიკა

ცნობარი აბიტურიენტებისა
და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. ნერეთელი

ფასი - 5 ლარი



გამოვიდა ახალი ტომები სერიიდან „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

ჯოზეფ კონრადი
ლორდი ჯიმი

რაფაელ საბატინი
ღამეული ბართოლმეო
ისტორიის მიღმა

ერნსტ ჰოპმანი
სატანის ელექსირები

ფასი - 12 ლარი

გამომცემლობა „ლიტერა“

მიმდინარეობს ხელმოწერა

სიტუაციური თამაში მეტყველების ბანკითარების ეფექტური საშუალება

უცხოური ენის მასწავლებლებისთვის უცხო არ არის გაკვეთილზე თამაშის, როგორც ერთ-ერთი საშუალების, გამოყენება სასწავლო მიზნის მისაღწევად.

თამაშის შემოტანა გაკვეთილზე მასწავლებელს სხვადასხვა მიზნის დასახვისა და მიღწევაში ეხმარება, თამაშით ხდება მოსწავლეთა მოტივირება, საგნით დაინტერესება. მოსწავლე სიტუაციური, როლური თამაშების საშუალებით უკეთ აღიქვამს და იმასხორავს მასალას, ლექსიკურ ერთეულებს, უფრო თარდება სამეტყველო უნარები, იქნის მოცემულ სიტუაციაში ადაპტირების, როლის გათავისების უნარს. თამაში კარგი საშუალებაა იმისთვისაც, რომ მასწავლებელი დააკვირდეს და შეაფასოს, რამდენად აქვთ მოსწავლეებს ჩამოყალიბებული სამეტყველო უნარ-ჩვევები.

განვიხილოთ სიტუაციური თამაშის ჩატარების ხერხები. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სიტუაციურ თამაშს, ჰყვარს მათ სამ ჯგუფად და აძლევს განმარტებას: პირველი ჯგუფი წარმოადგენს დავალებას პანტომიმით, ხოლო დანარჩენი ორი – გაახმოვანებს, აღწერს სიტუაციას (წერილობით ან ზეპირად). მასწავლებელი მაგიდაზე აწყობს (ან დაფაზე მიამგრებს) ბარათებს, რომლებზედაც მოცემულ

ლია სიტუაციური თამაშები. ამის შემდეგ სათამაშოდ იწვევს პირველ ჯგუფს. მოსწავლეები იღებენ რომელიმე ბარათს და ხმამაღლა კითხულობენ დავალებას. დავალების გაცნობის შემდეგ ჯგუფმა ორ წუთში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, როგორ განახორციელებს პანტომიმას და ვინ ჩაერთვება წარმოდგენაში – ერთი მოსწავლე, რამდენიმე თუ მთელი ჯგუფი. რა თქმა უნდა, როცა ერთი ჯგუფი ემზადება, დანარჩენი ორიც რაღაცით უნდა დაკავდეს. ვფიქრობ, ამ მიზნით კარგი იქნება ჯგუფებს მიეცეთ ასეთი დავალება: დააკვირდნენ, როგორ მიმდინარეობდა მზადება პირველ ჯგუფში, ვინ აქტიურობდა, სთავაზობდა იდეებს და ყველაფერი ეს ჩაინიშნონ (დაკვირება და შეფასება).

როცა მასწავლებელი გაკვეთილზე პირველად სთავაზობს ბავშვებს სიტუაციურ თამაშს, უნდა გაითვალისწინოს, რომ ჯგუფში, რომელსაც სათამაშოდ იწვევს, გაერთიანოს მორცხვი და ენის ცოდნის პრობლემის მქონე მოსწავლეები, რათა მოუხსნას კომპლექსი. სხვა დროს კი ისინი თვითონ ითხოვენ, რომ სწორედ ამ ჯგუფში მოხდნენ, რადგან უკეთ ახერხებენ თავის რეალიზებას. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მასწავლებელმა ყოველთვის ამ მოსწავლეებს შესთავაზოს სიტუაციური თამაში. რაც შეეხება სიტუაციურ

დავალებებს, შეიძლება იყოს შემდეგი სახის (გთავაზობთ სავარაუდო ქმედებებსაც):

დავალება 1. წარმოიდგინეთ, რომ სეირნობთ ქარიან და წვიმიან ამინდში.

სავარაუდო ქმედებები: შლიან ქოლგას, ქარი ხელს უშლით და სხვ.

დავალება 2. თქვენთან მეგობრები მოვიდნენ.

სავარაუდო ქმედებები: უსმენენ მუსიკას, ცეკვავენ, სვამენ ყავას, საუბრობენ და ა.შ.

დავალება 3. დაბადების დღეზე საჩუქრები მოგიტანეს (საჩუქრები შეიძლება იყოს: ნიგონი, ყვავილები, ყურსასმენები, ტელეფონი, ნახატი, ხატი, სუვენირი და სხვ.).

სავარაუდო ქმედებები: ნიგონს შემოდებენ თაროზე, ყვავილებს ლარნაკში ჩაანყობენ, ყურსასმენებს გაიკეთებენ, სუვენირს ფორტეპიანოზე დადებენ და კლავიატურაზე თითებს გადაატარებენ – დაუკრავენ და ა.შ.

დავალება 4. პაემანი ქარბუქიან დღეს (ამ სიტუაციურმა სავარაუდომ გაკვეთილზე ძალიან კარგად იმუშავა!).

სავარაუდო ქმედებები: პალტოს საყელს ნამონევა, ქარისთვის ზურგის შექცევა, თოვლის ჩამოფრთხვა მხრებიდან, საათის ხშირი შემოწმება, ყვავილების მორიდება ქარისგან, ტრანსპორტისკენ ცქერა, იმედგაცრუების

გამოხატვა, როცა გამოჩნდება – სიხარულის გამოხატვა, კომპლიმენტი ჩაცმულობაზე, ყვავილების მირთმევა და სხვ.

როცა პირველი ჯგუფი წარმოადგენს პანტომიმას, მეორე და მესამე ჯგუფი ისაუბრებს დაკვირვების შედეგებზე. ამის შემდეგ მასწავლებელი სამივე ჯგუფს აძლევს დავალებას – აღწერონ წარმოდგენილი სიტუაცია. შესაძლოა მოსწავლეებს მიეცეთ წერილობითი დავალებაც, მაგალითად, შეადგინონ პატარა მოთხრობა. პირველ ჯგუფს ნება უნდა დავართოთ, სურვილის შემთხვევაში, იმუშაოს ქართულად, შემდეგ კი ყველა ერთად თარგმნის ამ ნაშრომს.

* * *

სტატიაში შემოგთავაზეთ სიტუაციური თამაშის ზოგიერთი ხერხი, პედაგოგებს შეუძლიათ მოიფიქრონ სხვა ბევრად უფრო საინტერესო სიტუაციები ან შესთავაზონ მოსწავლეებს, თავად შექმნან დავალებები. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის კიდევ უფრო ამაღლებას, მეტყველების განვითარებას, მასწავლებლისა და მოსწავლეთა თანამშრომლობას და, რაც მთავარია, მასწავლებლის მიერ დასახული სასწავლო მიზნის მიღწევას.

ქეთევან კუბლაშვილი
ჩოხბატურის №1 საჯარო სკოლა

მშობლობა – მოვალეობა და ურთულესი პროფესია

საუკეთესო გზა ბავშვის დახმარებისა – მშობლის დახმარებაა. თუ მშობლებს არ მოსწონთ, როგორ იქცევიან მათი შვილები, ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ბავშვები უნდა შეიცვალონ (ზ. ფროიდი).

ახალდაბადებულმა ჩვილმა თვალები პირველად გაახილა და ორი მბრწყინავი ვარსკვლავი დაინახა. მას შემდეგ დედის თვალებზე უფრო მბრწყინავი ვარსკვლავი მთელი ცხოვრების მანძილზე ცაზე არ შემუშნევია (ვაჟა ხორნაბულა).

წინასწარმეტყველება რომ მქონდეს, ყველა საიდუმლო და ყოველგვარი ცოდნა რომ ვუწყობდეს, სრული რწმენა რომ მქონდეს, ისეთი, რომ მთების გადაადგილება შეეძლო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი (კორ. თავი 13, მუხლი 2).

მშობლიური სიყვარული ვლინდება შვილზე გაუთავებელ ფიქრსა და ზრუნვაში, დამლულ შრომასა და უდიდეს პასუხისმგებლობაში. ყველა მშობელს უნდა, რომ მისი შვილის ქცევა საზოგადოებისათვის მისაღები იყოს, უფრო მეტიც, სურს, რომ თავისი საქციელით ზიანი არ მიაყენოს საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას. ის კი ხშირად ავიწყდება, რომ შვილი, უპირველეს ყოვლისა, ცოცხალი არსებაა თავისი გრძნობებით, წესებით, კანონებით, უფლებებით და არა რაღაც მანქანა, რომელშიც ნებისმიერი პროგრამის ჩადება შეიძლება.

ბავშვი იზრდება და ვითარდება, შესაბამისად, რთულდება მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა. ურთიერთობის ამ ლაბირინთებში გზის გაგნება არც ისე იოლია. როცა დედა გავხდით, მშობელთა უმრავლესობის მსგავსად მჯეროდა, რომ ამბოხის პერიოდი გარდატეხის ასაკში, ჩვეული და გარდაუვალი, მოზარდების დამოუკიდებლობის დამკვიდრებისა და მშობელთა წინააღმდეგ ამბოხის უნივერსალური სურვილის შედეგი იყო. დარწმუნებული ვიყავი, რომ მოზარდობა ოჯახებში აუცილებლად

ქარტყილებისა და სტრესების პერიოდი იყო. არც მიფიქრია, შვილებსაც თუ სწყინდათ ჩემგან. იშვიათად, მაგრამ მაინც ჰეროსტატეს მეთოდით ვმოქმედებდი: „შენ გულგრილი ხარ ჩემ მიმართ, მე შენთვის მოსაწყენი ვარ! მე გაიძულებ, თუნდაც გეზიზღებოდე!“

როცა პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში დავიწყებულა, დავრწმუნდი, რომ აღზრდაში არ არსებობს შვილის პრობლემა, არსებობს მშობლის პრობლემა, რომ მოზარდები მშობელთა წინააღმდეგ კი არ აწყობენ ამბოხს, არამედ მათ მიერ გამოყენებული აღზრდის მხოლოდ გარკვეული დესტრუქციული მეთოდების წინააღმდეგ. თანამედროვე მშობლებიც, პრაქტიკულად, აღზრდისა და ოჯახური პრობლემების გადაჭრის იმავდ მეთოდებს იყენებენ, რომლებსაც მათი მშობლები, ბებიები და პაპები იყენებდნენ. აქედან გამომდინარე, დღესაც მშობლებს ადანაშაულებენ, როგორც ახალგაზრდობის ყველა პრობლემისათვის, ასევე იმ პრობლემებისთვისაც, რომლებსაც ეს უკანასკნელნი საზოგადოებას უქმნიან.

მშობლებს ბრალს სდებენ: * ფსიქიატრები (შემამოფოთებელი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე) – იმ ბავშვებისა და მოზარდების სწრაფად მზარდი რიცხვისათვის, რომლებსაც არამყარ ან დამახინჯებული ფსიქიკა აქვთ, რომლებიც ნარკოტიკების ან სუიციდის მსხვერპლნი ხდებიან;

* პოლიტიკური ლიდერები და სამართალდამცავები – საზოგადოების მემბრებზე წევრების, მკვლელობის შემთხვევების, მოძალადე ტყუდენტებისა და კრიმინალების აღზრდისათვის;

* მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია – მოსწავლეთა წარუმატებლობისა და ყოფაცქცევისათვის. გასაგებია, მაგრამ ასე დავსვათ კითხვა: ვინ ეხმარება მშობლებს შვილების აღზრდის სწავლებაში? როგორ გაიგოს, სად შეეშალა? ვინ ეხმარება შეცდომების გამოსწორებაში?

ოჯახს, მისი მრავალგვარი ფუნქციიდან გამომდინარე, იკვლევენ ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ოურისტიები, ფსიქოლოგები, ფსიქოთერაპევტები, დემოგრაფები, ეკონომისტიები, მაგრამ პედაგოგიური აღზრდის პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება ოჯახში, სკოლაში, ბავშვთა სახლებსა და საბავშვო ბაღებში.

პედაგოგიური კულტურის აღზრდის პრობლემაზე საუბრისას მხედველობაში გვაქვს თანამედროვე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია, რომელმაც ძირითადი ცვლილებები გამოიწვია ოჯახში, ადამიანთა საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ცნობიერებაში. დემოკრატიზაციის პროცესმა მოითხოვა საოჯახო აღზრდაში ტრადიციული შეხედულებების გადაფასება და დაზუსტება, სამამულო და მსოფლიო ტენდენციებში დადებითი გააზრება ულტრამოდერნი თეორიების საწინააღმდეგოდ.

საოჯახო აღზრდის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მშობელთა უმეტესობას არასაკმარისი ცოდნა აქვს როგორც საოჯახო ურთიერთობებში, ისე ბავშვთა აღზრდაში.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, 2010 წელს, თბილისის 72-ე საჯარო სკოლაში ჩამოყალიბდა მშობელთა კლუბი. მისი სამუშაო დევიზია: „იდავით, შეცდით, ოღონდ ღვთის გულსთვის, იაზროვნეთ, თუნდაც ხარვეზებით, ოღონდ საკუთარი ძალით“ (ლესინგი).

კლუბის მიზანი – მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლება. **ამოცანები:**

- * მშობელმა, როგორც აღმზრდელმა, გადალახოს საკუთარი შესაძლებლობების მიმართ უნრმუნობა;
- * შეძლოს ბავშვების აღზრდა ჰუმანიზმის პრინციპით;
- * ოჯახში შეამციროს უარყოფითი მოვლენები, ხოლო საზოგადოებაში მიმდინარე ნეგატიურ მოვლენებს მომავლის იმედით შეხედოს;
- * განიმტკიცოს რწმენა იმით, რომ

ოჯახი ზოგადსაკაცობრიო მიკროგარემო და ფასეულობაა, რომელსაც პიროვნებისთვის მორალური კმაყოფილება მოაქვს, ხსნის ფსიქოფიზიკურ დაძაბულობას და სტრესს. ამ ამოცანების გადაწყვეტა მშობლებს დაეხმარება:

1. ბავშვთა ქცევის მოტივების გარკვევაში;
2. საოჯახო შრომაში ოჯახის ყველა წევრის ჩართვაში (ა. ადლერი, რ. დრეიკურსი);
3. ოჯახის წევრთა მიმართ სრულფასოვანი კომუნიკაციის დამყარებაში.

კლუბის საორგანიზაციო მუშაობის მიზართულებები:

- * კლუბის საფოსტო ყუთის საშუალებით მშობელთა შეკითხვების, მათი გამოცდილების, ოჯახში მშობელსა და შვილს შორის კონფლიქტური სიტუაციების წერილობით წარმოდგენა;
- * მშობელთა შესახებ მოსწავლეთა შეხედულებების შესწავლა („რა მწყინს და რა მიხარია მშობლებისგან“, „მე რომ დედა ვიყო“, „მე რომ მამა ვიყო“);
- * სასწავლო წლის განმავლობაში ძირითად თემებზე ფოკუსირება;
- * როგორც მასწავლებლების, მშობლების, ისე მოწვეულ პირთა საკლუბო მუშაობაში ჩართვა.

საკლუბო მუშაობის საყრდენი დებულებები:

- * ბავშვი გვიყვარდეს ისეთი, როგორც არის. ბავშვთან ურთიერთობისას უნდა შევინარჩუნოთ არა მხოლოდ სხეულთან (ფიზიკური ჯანმრთელობა), არამედ მის გრძნობებთან (სულთან) დაკავშირებული მდგრადი ნონასწორობა, რომელსაც „ჰომოსტაზი“ ეწოდება და მხოლოდ სიყვარულით მიიღწევა.
- * ყოველთვის შევინარჩუნოთ სიყვარული, რადგან ადამიანის აღზრდა შეცვლას გულისხმობს. სიყვარულის გარეშე კი შეცვლა შეუძლებელია. თუ აღზრდის პროცესში

სიყვარული და სიკეთე არ არის, სიმკაცრე სწრაფად გადაიქცევა განადგურებად.

* ადამიანს ერთბაშად შეცვლა არ შეუძლია, ამიტომ აღზრდისას აუცილებელია მოთმინება და მცდელობის მრავალჯერ და თანმიმდევრული გამოცდები.

* სანამ რაღაცას უხეშად ეტყვი, გაიცხავე, უნდა შეაქოთ. თუ საყვედურებით დაიწყებ, უხეშად მიმართავ, მყისიერად იფეთქებს ბავშვის თავდაცვითი რეაქცია და მასინ ადამიანი აღარ შეიცვლება.

პედაგოგიური კულტურის სწავლების ფორმები და მეთოდები:

- * მშობელთა საერთო კონფერენცია;
- * მოხსენება და ლექცია;
- * მშობელთა კრებაზე ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები;
- * საოჯახო აღზრდის გამოცდილების გაზიარება;
- * შეკითხვები და პასუხები;
- * პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში ახალი ლიტერატურული მასალის მიმოხილვა;
- * საქმიანი თამაში – „საოჯახო მეურნეობის ლაბირინთებში“;
- * ინგლისელი მეცნიერის ღონაღდ ტენესის ტესტების წვლილი ამოცანის სახით დაყენება და გადაწყვეტა.

* * *

მომავალში საორიენტაციოდ მოგანვიდით საოჯახო კლუბში განხილული თემების შინაარსს.

მიმდინარე სასწავლო წელს უკვე ჩატარდა მშობელთა პირველი შეხვედრა, რომელსაც მამებიც ესწრებოდნენ.

ნათელა ნატროშვილი
პედაგოგიური მეცნიერებათა დოქტორი

როზა ირემაშვილი
პედაგოგიური მეცნიერებათა დოქტორი

კონკურსი

კონკურსი უზროსკლასელთათვის „ტრადიციული ხელსაქმი და ხელოსნობა“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და გაზეთი „ახალი განათლება“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მხარდაჭერით აცხადებს ერთობლივ კონკურსს თემაზე „ტრადიციული ხელსაქმი და ხელოსნობა“. კონკურსის მიზანია გამოავლინოს საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი ხელსაქმისა და ხელოსნობის დღემდე შემონახული ტრადიციები, გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი შესწავლისათვის, ჩართოს საქართველოს ახალი თაობა მივიწყებული ტრადიციების მოძიებასა და ფიქსაციაში.

კონკურსი მოემყობა ორ ტურად: პირველი ტური

ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ხელოვნების, შრომის ან სხვა პედაგოგის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შერჩევა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა, შემოთავაზებული გეგმის მიხედვით (იხ. საკონკურსო ნიმუშის ნარდგენის ფორმა), თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი ძირძველი ტრადიცია, რომელიც უკავშირდება ხელსაქმეს ან ხელოსნობას. ასეთი შეიძლება იყოს:

ძსმვა (მათ შორის სამოსის, მისი ატრიბუტების, საყოფაცხოვრებო ნივთების: სუფრა, ხურჯინი, ფარდაგი, ხალიჩა და სხვა) – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

ძარბვა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, ძაფი, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

ნაზდის მოთივრა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, ძაფი, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

თიქა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, ძაფი, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

ქაფის დართვა და შეღებვა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ნედლეული, დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

პუნაბრის საღებავების გამოყენება – მათი მოპოვების და დამუშავების ტექნიკა, მასთან დაკავშირებული რიტუალები;

თოჯინებისა და სათამაშოების დამზადება – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ნედლეული, მნიშვნელობა და გამოყენების წესები;

საპრავების დამზადება – ნედლეული, მისი მოპოვება, მომზადების ტექნოლოგია, მასთან დაკავშირებული რიტუალები, ინსტრუმენტები, ტრადიციები;

ხის სამკვანძლო მასალის გამოყენების ტრადიციული ხერხები – ხის შერჩევის, მოჭრის, გამოშრობის, მასალის დამზადების ტრადიციული მეთოდები (ყავარი, აივინის ჭვირული, მუშარაბი, ოდა, ფაცხა, მესერი და სხვა), მასთან დაკავშირებული რიტუალები, ატრიბუტები და ინსტრუმენტები;

ხის ნაპითობები (ავეჯი, საყოფაცხოვრებო ნივთები, სკივრი, გობი და სხვა) – მასალის შერჩევის, დამზადების ტრადიციული მეთოდები, მასთან დაკავშირებული რიტუალები, ატრიბუტები და ინსტრუმენტები;

ხევა დამკრები კვითა – ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერი, საღებავი, მასთან დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

წნულის ხელოვნება (საყოფაცხოვრებო ნაგებობები, ღობე, საოჯახო ატრიბუტები, სარიტუალო და სხვა ნაკეთობები) – ნედლეული და მისი მოპოვება, წნულის დამზადების ტექნოლოგია და დიზაინი, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, ტრადიციები და რიტუალები;

ლითონის დამუშავება (საყოფაცხოვრებო ნივთები, საბრძოლო ინვენტარი, სამკაული და სხვ.) – ნედლეული, ტრადიციული მოპოვებისა და დამუშავების ხერხები, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები და რიტუალები;

ლითონის დამკრები დამუშავება – ნედლეული, ორნამენტი, დამზადების ტექნოლოგია, და ინსტრუმენტები, ფერები, ნედლეული, დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

თიხის დამუშავება (სამშენებლო მასალა, საყოფაცხოვრებო ნივთები: ჭურჭელი, ქვევრი, თონი და სხვა) – სხვადასხვა მიზნით თიხის მოპოვების, მომზადების, გამოწვის ტრადიციები, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები და რიტუალები;

ჭიქური – ინსტრუმენტები, ფერი, საღებავი და სხვა ნედლეული, დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

ძვის სამკვანძლო მასალის გამოყენების ტრადიციული ხერხები – კარიერები, მოპოვება, ტრანსპორტირება, ინსტრუმენტები, რიტუალები და ატრიბუტები;

ტუალები და ატრიბუტები;

ძვაზე დამკრები კვითა – ინსტრუმენტები, ნედლეული, ორნამენტი, დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

სხვა რამ, რაც უკავშირდება ხელსაქმისა და ხელოსნობას.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს გაზეთ „ახალი განათლება“ რედაქციაში, ან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com

ნამუშევრებს, გაზეთის რედაქციასთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები. **გადმოგზავნის ვადა 2014 წლის 1 თებერვალი.**

საინტერესო ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების ხელმძღვანელობით, მათ მიერ შერჩეულ ნიმუშზე შეავსებენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სააღრიცხვო ბარათს. შედგენილი მასალები განიხილება კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტების მიერ, მათი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად წარდგენის მიზნით.

საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორები (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდებიან საგანგებო სიგელითა და წოდებით „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომავი“. საუკეთესო ნამუშევრები აგრეთვე გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“.

საკონკურსო ნიმუშის ნარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – დასახელება;
 2. იდეის ავტორი – სახელი, გვარი;
 3. ხელმძღვანელი პედაგოგი – სახელი, გვარი;
 4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
 5. სკოლის დირექტორი – სახელი, გვარი;
 6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში მიუთითეთ ყველა სათაური და გაუკეთეთ კომენტარი);
 7. ტექნოლოგიის მოკლე აღწერა.
მოკლე აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:
 - ❖ რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;
 - ❖ ტრადიციული და ამჟამინდელი (თუ განსახვავებულია) სახელწოდება;
 - ❖ ზოგადი აღწერილობა – სად, როდის, რისთვის და ვის მიერ მზადდება/გამოიყენება/სრულდება;
 - ❖ დამზადების/შესრულების ტექნოლოგია – ნედლეული მასალა, მისი შერჩევა, მოპოვება, დამუშავება, ტრანსპორტირება, ნიმუშის დამზადების ტექნოლოგიის აღწერა, დამზადების ინსტრუმენტები, სხვა საჭირო ატრიბუტები და გარემოებები (წელიწადის დრო, ამინდი, ა.შ.);
 - ❖ ორნამენტი;
 - ❖ შემსრულებლები (მეთუნე, მქარგავი, ხური და ა.შ.), მათი წეს-ჩვეულებები და რიტუალები;
 - ❖ სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის პრაქტიციულობისათვის;
 - ❖ რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან სამეურნეო, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დასაბუთეთ თქვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალურობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (ოჯახისთვის, სკოლისთვის, სოფლისთვის...) და საზოგადოებისათვის.
- სასურველია სიტყვების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს 400-500 სიტყვას.
- სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), დამატებით ასევე შესაძლებელია ჩანახატის, ჩანახატის, შაბლონის, სქემის, ესკიზის და სხვა თვალსაჩინო მასალის წარმოდგენა.

გვიკონტაქტით: სამუშაო დღეებში
(32)298-39-24, 13 საათიდან 15 საათამდე ან 599 62 34 99
aramaterialuri@yahoo.com
მაკა თაქთაქიშვილი, კობე ნასვლიშვილი
საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო



გამოფანა

„ომის ხიზლი“

ლალი ჯელაძე

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული გიგლიოთეკის
საგამოფანო დარბაზში
სირიელი მხატვრის
აბდულა ომარის
გამოფანა გაიხსნა
სახელწოდებით – „ომის ხიზლი“.

სირიელი მხატვარი და რეჟისორი აბდულა ომარი 1986 წელს დაბადდა. 2009 წელს, ერთდროულად, დაამთავრა ადვან ისლამის სახელობის და გამოყვანებითი ხელოვნების ინსტიტუტი და დაამთავრა უნივერსიტეტი, სადაც მიიღო სამეცნიერო ხარისხი ინგლისურ ლიტერატურაში. სწავლის დროს ომარი თავადაც ძმინდა ფილმებს, ასევე, მონაწილეობდა ანიმაციურ ფილმებში, სერიალებსა და ვიდეორგანებში. მათ შორისაა სირიელი რეჟისორის მვაჰაჰ კატის ფილმი „მეთერთმეტე მცენაე“. 2010 წელს აბდულა ომარის ნამუშევრები წარდგინდა იყო დამასკოს კინოს საერთაშორისო ფესტივალზე.



სწავლის დამთავრების შემდეგ აბ-

დულა ომარი მონაწილეობდა არაერთ გამოფანაში, აუქციონსა და ფესტივალში სირიაში, ლიბანში, არაბთა გაერთიანებულ სამეორებაში, საფრანგეთში, გაერთიანებულ სამეორეოში, დანიაში, გერმანიაში, ავსტრალიაში და სხვ.

„კონფლიქტების დროს ბავშვები ხშირად სიბნელეში, მედიისა და მსოფლიოს ყურადღების ცენტრს მიღმა რჩებიან. მათი სუსტი ხმა ვერ სწვდება ჩვენს სმენას, უცხოა აღსაქმელად. პატარებს არ აინტერესებთ უფროსების თამაში სახელად „ომები“, მათ თავიანთი მხიარული, ბავშვური თამაშები სურთ. საქართველოში გამოფენას პირველად ვაწყობ, ჩემს ნამუშევრებში ქართველებთან ერთად სხვა ეროვნების ბავშვების ხასიათიც ჩანს, ამ კონკრეტული გამოფენისათვის ძირითადი თემა სირიაში მიმდინარე კონფლიქტი და სირიელი ბავშვები არიან, ჩემი ბოლო ფილმიც სწორედ ამ თემას ეხება“ – აბდულა ომარი.

ნახატების სახელწოდებები უკვე მიაწინებებს იმ მწარე რეალობას, რომელშიც სირიელი ბავშვები იმყოფებიან. „ცოცხალი ვარ! ცოცხალი ვარ!“ – საავადმყოფოს ერთ-ერთ სანოლში იოუმნა ყვიროდა, ხელს იკიდებდა სახესა და ხელეზე და არ სჯეროდა, რომ ცოცხალი იყო. პა-

Charms of War by Abdalla Omari



ტარა გოგონა, სასიკვდილო შეტაკების დროს, სადაც ქიმიური იარაღი იყო გამოყენებული, ალგუთაში, დამასკოს ერთ-ერთ გარეუბანში სიკვდილს გადაურჩა. ამ შეტაკების დროს 1300 ადამიანი დაიღუპა. მსხვერპლის თითქმის ნახევარი ბავშვები იყვნენ.



ერთ-ერთ ნახატზე გამოსახული პატარა ველოსიპედს ჩასჭიდებია, რომელსაც ერთი ბორბალი აღარ აქვს. ამ ნახატს ავტორმა „ნარჩენები“ უწოდა. მეორე ნახატი „უასმინის“ გასროლის ამბავს გადმოგვცემს – 2012 წლის 10 ივლისს ლიონ ალ ფალოუჯი, 6 წლის გოგონა ქალაქ დარდან, ძალისმიერი შეტაკების დროს, შემთხვევით დაიჭრა; „მაქსიმალური დიაპაზონი – ნაიფი“ – ამ სათაურის ნახატის ადრესატი თავშეხვეული პატარა ბიჭი ნაიფია, რომელმაც ალეპოსთან ახლოს, მის სოფელზე სარაკეტო თავდასხმის დროს, ორმოცი ოჯახის წევრი დაკარგა. რაკეტების სამიზნე ოპოზიციის მიერ აგებული სამხედრო ბანაკი უნდა ყოფილიყო.

გამოფენაზე ერთ-ერთ ნახატზე სირიელ ოჯახს იხილავთ, ბავშვები მომღიმარი სახეებით შემოგვცქერნიან, ეს ოჯახიც იმ სირიელ ლტოლვილთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა რაოდენობამაც მილიონს გადააჭარბა. ექსპოზიციაზე 15 წლის ქურთი ბიჭის ომარის პორტრეტსაც შეხვდებით, რომელიც დღეებს მაღაზია „სმარტთან“ ან რუსთაველის მეტროსთან ატარებს: „მე თხუთმეტი წლის ვარ და სოფელ ბახვაში ვცხოვრობ, სადაც ყოველდღე, დაახლოებით, საღამოს 9-10 საათზე ვბრუნდები. სამთხოვროდ 12 საათზე გამოვდივარ. დილის ძილი მიყვარს. სახლში ხუთი ბავშვი ვართ – ორი ძმა და ორი და, ერთი დაც მყავდა... დედაჩემი და მამაჩემიც მათხოვრობენ.“

ექსპოზიცია მძიმე ემოციას იწვევს, ათვალიერებ ნახატებს და ვერ იჯერებ „ომის ხიზლს“, რომელსაც ეს პატარები განიცდიან. თანაუგრძნობ იოუმნას, რომელიც სასწაულებრივად გადარჩა და ნაიფეს, რომელიც ერთ დღეს ორმოც ოჯახის წევრს კარგავს... თანაგრძნობის გარდა სხვა არაფერი შეგიძლია.

დამწუხრებელი შესწერებისარ პატარა ლამას, კიდევ ერთი 6 წლის პალესტინელი სირიელი გოგონას პორტრეტს, რომელიც ძმასთან ერთად, დამასკოში, დაბომბვის დროს დაიღუპა. თუმცა, რწმენას გიბრუნებს ნახატი, რომელზეც გამოსახულია, თუ როგორ პოზირებს ზაათარის ლტოლვილთა ბარაკში ორი მორცხვი გოგონა სირიელი ჟურნალისტისთვის. ან კიდევ ერთ-ერთი ნახატი, რომელზეც პატარას ხელში ფუნჯი უჭირავს, ხატავს და იღიმის – „ომი სასაცილოა“.

ასეთი ემოციითაა სავსე მხატვრის მიერ ზეთში შესრულებული კომპოზიციები, რომლებზეც ასახულია რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობა და, ამავდროულად, მხატვრული ხერხებისა და რეალისტური გამოსახულების საშუალებით შენარჩუნებული სიღრმისეული სილამაზე.

გამოფენაზე, ნახატებთან ერთად, ინსტალაციებიც წარმოადგინეს.

მომავალი კრება

ბაფანტული ბავშვი

რატომ არის, რომ ზოგიერთი პირველკლასელი ყურადღებით უსმენს მასწავლებელს, ზოგი კი ვერაფრით ახერხებს ყურადღების მოკრებას?

თუ ბავშვს პატარაობიდანვე არ განუვითარეთ ყურადღება, სკოლაში შესვლის წინ ამის გაკეთება გაგიჭირდება, თუმცა, როგორც ამბობენ, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...

სელითა და გონებით

როცა ყურადღების განვითარებაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ მისი მართვის ცოდნას და უნარს. ადრე თუ გვიან ამ უნარს იძენს ყოველი ადამიანი, თუმცა ყურადღების „ხარისხი“ ყველას განსხვავებული აქვს. ამასთან, ის შეიძლება განვითარდეს და სრულყოფილ როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე სპეციალური მეცადინეობითაც. იყიდება წიგნები და საშუალო რვეულები დაავლებებით, რომლებიც საშუალებას იძლევა, განვითარდეს ბავშვს ყურადღება განსხვავებულ ასაკში. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყურადღება მჭიდროდა დაკავშირებული სხვა შემეცნებით პროცესებთან: მეხსიერებასთან, აღქმასთან, წარმოსახვასთან, აზროვნებასთან – ამიტომ ბევრი თამაში თუ სავარჯიშო რამდენიმე ფუნქციის ერთდროულად განვითარების საშუალებას იძლევა. უნდა გვახსოვდეს, რომ ყურადღება თავდაპირველად „ხელისაა“: უნდა დავინყოთ თამაშით, სადაც პატარას შეეძლება, შეეხოს, გადაანყოს ცალკეული დეტალები (მაგალითად,

სხვადასხვა ფორმის ფიგურები დაანყოს შემადგენელი ნაწილები). მერე კი იგივე მოქმედებები პატარამ აზრობრივად შეასრულოს, ანუ ყურადღება თანდათანობით „გონებრივი“ ხდება.

რას სარგებლობა მოაქვს კუბს?

ალბათ ყველა დაგვეთანხმება, რომ ძალიან ძნელია საქმეზე კონცენტრირება, თუ მისი კეთება არ გვიწონია. ამ დროს ნებისყოფის ჩართვა გვინევს. რაც უფრო მცირეწლოვანია ბავშვი, მით უფრო უჭირს, დაემორჩილოს სიტყვას „საჭიროა“. ამიტომ ყურადღების განვითარებისას პირველი ნაბიჯია პროცესისადმი ინტერესის გაღვივება. შეგიძლიათ, სერიზოზისას ან მალაზიაში მიმავალმა, შესთავაზოთ პატარას, იპოვოს მსგავსება ან განსხვავება შემხედრ მანქანებს შორის, შინ შეიძლება განსხვავების პოვნა სათამაშოებს ან ნახატებს შორის... მთავარია, ამ თამაშმა დაინტერესოს და გაიტაცოს პატარა მკვლევარი. ყურადღება მიაქციეთ მეცადინეობის შედეგს – ბავშვის მიერ შექმნილ ლამაზ ნახატს ან კუბებისგან აშენებულ კოშკს. სიტყვათშეთანხმებას „ყურადღების განვითარება“ პატარასთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ წინადადება, ცალკეული ნაწილებისგან აანყოს მთლიანი (კონსტრუქცია, ნახატი, სათამაშო), უდავოდ გაუღვივებს

მოქმედების სურვილს. წარმატების, თუნდაც მცირედის შემთხვევაში, ნუ დაიშურებთ ქებას – ეს მომავალი განვითარების მნიშვნელოვანი სტიმულია. აღზრდის პროცესში მშობელმა უნდა მიაჩვიოს შვილი დაწყებული საქმის დამთავრებას და ერთი საქმიანობიდან მეორეზე ყურადღების გადართვას. მეცადინეობა თამაშის ფორმით სჯობს. არსებობს უამრავი შემეცნებითი თამაში:

1. „იპოვე ასეთივე“ – თქვენ დაგჭირდებათ რამდენიმე წყვილი ერთნაირი სურათი ან ღია ბარათი (მაგ., ორი კურდღლებიანი, ორი დათუნიანი და ა.შ.). ყოველი წყვილიდან აიღეთ თითო და ისე დააწყვეთ, რომ პატარა ყველას კარგად ხედავდეს, დანარჩენები კი აურიეთ. შემდეგ სთხოვეთ ბავშვს, უპოვოს „გაქცეული“ ცალი თითოეულ ბარათს.

2. „აანწვიოთ სურათი“ – აიღეთ ორი წყვილი ერთნაირი სურათი. თითოეული წყვილიდან თითო რამდენიმე ნაწილად გაჭირეთ და აურიეთ. შემდეგ აჩვენეთ ბავშვს ერთ-ერთი ფრაგმენტი და სთხოვეთ გამოიცნოს, რომელ სურათს ეკუთვნის და სად უნდა მოთავსდეს. პატარა ბავშვს შესთავაზეთ, დაადოს „ამოცნობილი“ ფრაგმენტი მთლიან სურათს, ხოლო მოზრდილს – დააკვირდეს ნიმუშს და ფრაგმენტებისგან სურათი აანყოს.

3. „ცვივა-ცხელა“ – სთხოვეთ ბავშვს, გავი-

დეს ოთახიდან, თქვენ კი ამ დროს სადმე დამალეთ სათამაშო. ბავშვის ამოცანაა, მოძებნოს სათამაშო თქვენი კარნახით. როცა სამალავს მიუახლოვდება, უნდა თქვათ „თბილა“ ან „ცხელა“, ხოლო როცა დაპოვდება – „ცივა“.

ეს თამაში ახალი არ არის, მაგრამ ძალიან სასარგებლოა. ის ბავშვს არა მხოლოდ „მხედველობით“, არამედ „სმენით“ ყურადღებასაც უვითარებს. გარდა ამისა, ასწავლის, მართოს თავისი ქცევა გაგონილის შესაბამისად. იმის მიხედვით, როგორ დაძლევა ბავშვი მარტივ ამოცანებს, მიანოდეთ უფრო რთული, მაგრამ უარი არ უთხრათ დახმარებაზე, თუ დასჭირდა. მეცადინეობამ შესაძლოა მაშინვე არ გამოიღოს შედეგი, მაგრამ დროთა განმავლობაში თქვენ შეამჩნევთ, რომ ბავშვი უფრო მოტილიზებული გახდება, ხოლო როცა სკოლაში მივა, გაკვეთილზე ყურადღების მოკრება აღარ გაუჭირდება.

მითხვამელი გამოცდილება გვიჩინავს: „პირველ კლასში გიორგი ძალიან უყურადღებო იყო და მასწავლებლები ხშირად საყვედურობდნენ. ჩვენ ასეთი თამაში მოვიფიქრეთ: მე ვასრულებდი რომელიმე დავალებას მისი სახელმძღვანელოდან, მაგრამ განზრახ ვუშვებდი შეცდომებს, მას კი ეს შეცდომები უნდა ეპოვა და გაესწორებინა. ამის წყალობით ჩემი შვილი უფრო დაკვირვებული და ყურადღებიანი გახდა.“ – ირინა, 29 წლის.

ვემზადებით წერილს

პატარა მალე 5 წლის გახდება, მაგრამ ჯერ ხელში კალამი არ აუღია, რამის დანერაზე ხომ ლაპარაკი უნდა გქონდეთ... იქნებ არ იცით, მაგრამ არსებობს წერისთვის თითების მოსამზადებელი ორიგინალური და ეფექტური მეთოდები.

სადაცაა, პატარა სკოლაში მივა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც მთლიანად ცვლის ოჯახის ცხოვრებას. ახალ პირობებთან ადაპტაციამ უმტკივნეულოდ რომ ჩაიაროს, სკოლისთვის წინასწარ უნდა მოემზადოთ. რა თქმა უნდა, მშობლები აქცენტი, პირველ რიგში, კითხვასა და ანგარიშზე აკეთებენ. ბავშვთან ერთად ლოგიკურ ამოცანებს ხსნიან, მეტყველების განვითარებაზე ზრუნავენ.

რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია და აუცილებლად გამოვადგება სკოლაში სწავლისას, მაგრამ მშობლებს ხშირად ავიწყდებათ ისეთი მნიშვნელოვანი რამ, როგორც არის ბავშვის ხელის ხელის ნატიფი მოძრაობები, ისინი კი აუცილებელია, რათა პატარამ წერა ისწავლოს. პირველკლასელთა მასწავლებლები არცთუ იშვიათად ევხებებიან ფაქტს, როცა ბავშვს ხელის კუნთების ძალიან სუსტად აქვს განვითარებული. ასეთ ბავშვებს არ უყვართ ხატვა, გაფერადება, ძერწვა, საზოგადოდ, არ იტაცებთ ხელით საქმიანობა. მოტორიკის განვითარებასთან კი მჭიდრო კავშირი აქვს მხედველობით-სივრცით კოორდინაციას (ხელისა და თვალის მოძრაობათა შერწყმას).

შევაფასოთ მოტორული განვითარება

საერთო და წერილი (თითების) მოტორიკის შემოწმება მშობლებს თავადაც შეუძლიათ. ამასი მათ მარტივი ტესტები დაეხმარება. მათი მუშევრით შეიძლება დავადგინოთ, სწორად ვითარდება თუ არა ზოგიერთი მოტორული ფუნქცია.

„გზა“ – ბავშვს სთხოვეთ, ისე დადგეს, რომ მარცხენა ტერფის წვერი მარჯვენა ქუსლს ეხებოდეს. ბავშვმა ხელები უნდა ჩამოუშვას, თავალები დახუჭოს და ასე იდგეს 15 წამის განმავლობაში. თუ მოახერხა, ყველაფერი რიგზეა, ხოლო თუ წონასწორობა დაკარგა, ეს მიუხედავად.

„ცხვირი“ – სთხოვეთ ბავშვს, თვალები დახუჭოს და მარჯვენა და მარცხენა საჩვენებელი თითებით მორიგეობით შეეხოს ცხვირის წვერს. თუ სამი მცდელობიდან ორი

წარმატებული აღმოჩნდა, დავალება შესრულებულად ითვლება.

„ბურთები“ – სთხოვეთ ბავშვს, ბურთით იხტუნოს. ძალზე მნიშვნელოვანია, ორივე ქვედა კიდური ერთდროულად მოსწყდეს იატაკს. 5 წამის განმავლობაში ბავშვი სულ ცოტა 7-ჯერ უნდა ახტეს.

„განელა“ – სთხოვეთ ბავშვს, 10 წამით თითის წვერებზე დადგეს, ხელები ტანზე მიიკრას, ფეხები ერთმანეთს მიატყუოს. დავალება შეუსრულებლად ითვლება, თუ ბავშვი დროზე ადრე დაეშვა.

„ასანთი“ – ასანთის კოლოფის აქეთ-იქით 10-10 ასანთის ღერი დაანყვეთ. ბავშვს სთხოვეთ, ისინი სწრაფად აიღოს ორივე ხელის ცერი და საჩვენებელი თითებით და კოლოფში ჩაანყოს. 20 წამის განმავლობაში მან სულ ცოტა 5 ღერი უნდა მოათავსოს კოლოფში.

„მუშტები“ – ბავშვს სთხოვეთ, მარჯვენა და მარცხენა ხელი მორიგეობით მომოქუცოს.

„თითების მისაღება“ – წვერებით მიაღეთ ერთმანეთს მარჯვენა და მარცხენა ხელის თითები. შედეგები შეაფასეთ შემდეგი კრიტერიუმებით: – მალალი დონე – ბავშვი უშეცდომოდ ასრულებს ყველა დავალებას; – საშუალო – შესრულებულია არა უმეტეს 5 დავალებას; – დაბალი – შესრულებულია არა უმეტეს ორი დავალებას, მოძრაობები დაუხვეწანია, კოორდინაცია – ცუდი, შეინიშნება თანხლები მოძრაობები, დაღლის ნიშნები.

თუ ტესტების შედეგებმა ცხადყო, რომ წერილი მოტორიკა სათანადოდ არ არის ჩამოყალიბებული, აუცილებელია მეცადინეობა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვი მაგიდასთან უნდა იჯდეს და წერდეს. პირიქით, ვარჯიში გართობას, თამაშს უნდა ჰგავდეს.

როგორ ვივარჯიშოთ

წერისთვის ხელის მომზადება სკოლაში მისვლამდე უნდა დაეწყო. შესაფერისი გართობაა ჭიქამი წყლის პიპეტით ჩასხმა, ფურცლის დახვევა, ძერწვა. ამგვარად ჯერ კიდევ წლინახევრის ბავშვი შეგიძლიათ ათამაშოთ. 3 წლიდან კი ბავშვს კალმისტრისა და ფანქრის სწორად დაჭრა უნდა ვასწავლოთ.

ვარჯიში რეზინით – 5 წლის ბავშვები დიდი სიამოვნებით თამაშობენ რეზინით. დაიხ, იმ რეზინითაც, რომლითაც ვკრავთ ფანქრების კონას, ვა-

მაგრებთ დახვეულ ქაღალდს... ასეთი რეზინი შეგიძლია ბავშვს ცერ და საჩვენებელ თითებზე ჩამოვაცვათ. შესთავაზეთ პატარას, თითებით განელოს რეზინი. შემდეგ იგივე გააკეთოს მეორე ხელით. ახლა შეგიძლია ავილოთ ხის დაფა, შიგ საკანცელარიო ჭკარტები (ფერადი, დიდთავიანი, ლურსმნის მსგავსი) ისე ჩავასოთ, რომ მათზე რეზინის ჩამოცმით მივილოთ სამკუთხედი, ოთხკუთხედი... ასეთი თამაშის წყალობით ბავშვი თითებსაც გაავარჯიშებს და ფიგურებსაც დაიმახსოვრებს.

ვარჯიში თითით – სთხოვეთ ბავშვს, გაშლილი ხელისგულები მაგიდაზე დაანყოს და თანამიმდევრობით ასწიოს ჯერ ერთი, შემდეგ მეორე ხელის თითები, დააცილოს და მიუახლოვოს ისინი ერთმანეთს. წეროფისიკოლოგები გვიჩვენებენ, ხშირად ვითამაშოთ „მუშტი-იდაყვი-ნეკი“: ბავშვის ხელი მორიგეობით იცვლის მდებარეობას – ჯერ მუშტად იკვრება, შემდეგ გაშლილი მტევანი მაგიდაზე იდგება, მერე კი ნეკს ეხება. თანამიმდევრობის დაცვა აუცილებელია. ეს ვარჯიში ძალიან მნიშვნელოვანია თავის ტვინის ნახევარსფეროთა შორის კავშირების ფორმირებისთვის.

ვარჯიში ბრინჯით – თქვენ სამზარეულოში საქმიანობთ, პატარა კი გვერდიდან არ გცილდება. ნუ გააღებთ მას. მიეცით პატარა ჭიქა, შიგ ბრინჯი ჩაუყარეთ და შესთავაზეთ, საჩვენებელი თითით მოურიოს, ოღონდ ისე, რომ მოძრაობდეს არა მთელი ხელი, არამედ მხოლოდ თითი. ახლა შეგიძლია, „ფაფას“ სხვა თითებითაც „მოუშროო“.

ვარჯიში ნინიბურათი – ნინიბურას მარცვლებს აქვს ნახნაგები, რომლებთან შეხებაც აუცილებელია თითების ნერვული დაბოლოებების აქტივაციისთვის. თავდაპირველად მიეცით ბავშვს თავისუფლად თამაშის უფლება. ბავშვებს ძალიან მოსწონთ მარცვლების შეკრება და გაფანტვა. ალბათ, ეს შეგრძნებები ძალიან სასიამოვნოა, ისინი ამშვიდებენ პატარას, ხელს უწყობენ ყურადღების კონცენტრირებას. ახლა შეგიძლიათ, ნინიბურას სხვა მარცვლეული შეურიოთ და ბავშვს მათი განცალკევება სთხოვეთ. ეს ძალიან კარგია არა მარტო ხელების განსავითარებლად, არამედ ყურადღების, შრომისმოყვარეობის, სიბეჯითის, ლოგიკური აზროვნების უნარის ჩამოსაყალიბებლადაც. თუ ბავშვი გა-



დარჩევით დაილაღა, შეგიძლიათ მარცვლეული ჭურჭელში ჩაყაროთ, შიგ პატარა სათამაშო ჩამალოთ და ბავშვს მისი პოვნა დაავალოთ. მარცვლეულით მაჯამდე ხელის ჩაყოფა ხსნის მტევნის კუნთების სპაზმს, დაძაბულობას და დაღლილობას. კუნთების ამტანობა – ჩვენ ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ბავშვები შაბლონებით ხატავენ. არადა ხატვა ხომ შემოქმედებითი პროცესია. მოდით, შაბლონებით ხატვაც შემოქმედებად გადავაქციოთ. უჩვენეთ ბავშვს ორიგინალური შტრიხები – ნერტილები, ხაზები, რგოლები, ბადეები და შესთავაზეთ, ნახატი უბრალოდ კი არ გააფერადოს, არამედ სხვადასხვაგვარად დაშტრიხოს. ეს გაფერადებაზე გაცილებით რთულია. ამის შემდეგ შეგიძლია ისეთი ვარჯიშებზე გადავიდეთ, რომლებიც კუნთების ამტანობას ზრდის და ბავშვს სანერ საშუალებაზე ზენოლის უნარს გამოუმუშავებს.

პარჯიშვაი კოორდინაციის განსაზღვრება

– ნერტილებით აღნიშნეთ რამე ფიგურის კონტურით.
– კონტურს საზე შემოავლეთ.
– დაამთავრეთ დაუსრულებელი ფიგურები.
– ზუსტად გადაიხატეთ ფიგურები და საგნები.
– დაასრულეთ სიმეტრიული გამოსახულებები.

გრაფიკული კარნახი – მოზრდილი ადამიანი კარნახობს, ხოლო ბავშვი ავლებს ხაზებს მითითებული მართოლებით.

მაგალითად: „ერთი უჯრა მარჯვნივ, ორი უჯრა ზემოთ, ერთი უჯრა მარცხნივ, ორი უჯრა ქვემოთ, ერთი ზემოთ. ახლა თავად გააგრძელე!“ თანდათან შეგიძლია ეს თამაშიც გავართულოთ.

სამზარეულოში სივრცეში მდებარეობის დასაზუსტებლად

ბავშვს მიეცით შემდეგი დავალებები: – გააფერადოს დროშები. მწკრივად დახატეთ დროშები და ბავშვს მიეცით დავალება, მარჯვენა კიდზე მდებარე დროშა ნითლად გააფერადოს, მარცხენა – ლურჯად.
– ანთოს სინათლე. დახატეთ სახლი, რომელსაც ბევრი ფანჯარა აქვს. ბავშვს შესთავაზეთ, „სინათლე ანთოს“ მარჯვენა ზედა ან მარცხენა ქვედა ფანჯარაში.
– დახატოს პეიზაჟი. უკარნახეთ პატარას, ფურცლის შუაგულში, ცენტრში დახატოს ხე, მის მარჯვნივ – ყვავილი, მარცხნივ – ბუჩქი, მარჯვენა ზედა კუთხეში – მზე, მარჯვენა ქვედა კუთხეში კი – ცუცა.

ბიოლოგიის კედაბობთა დასახმარებლად



ილისო ონაშვილი
ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი


ბუნებისმცოდნეობა I-VI კლასები, ბიოლოგია

მათემატიკური მეთოდები ბიოლოგიაში

ექსპერიმენტებით მიღებული შედეგების რაოდენობრივი მონაცემების შეფასება და დამუშავება ხდება სტატისტიკურად. მონაცემები შეიძლება წარმოვადგინოთ ცხრილების, გრაფიკების ან ვარიაციული მრუდების სახით.

ცხრილი შედგება რამდენიმე სვეტისაგან, რომლებშიც ინერება ერთმანეთთან დაკავშირებული მონაცემები. როგორც წესი, ცხრილი ინფორმაციის დამუშავების პირველი ეტაპია, რის შემდეგაც იოლდება მონაცემების წარდგენა გრაფიკების სახით.

გრაფიკი არის ორგანოზომილებიანი გამოსახულება ერთმანეთთან დაკავშირებული ორი ან რამდენიმე ცვლადის. X ღერძზე (აბსცისა) და Y ღერძზე (ორდინატა) გადაიზომება ერთმანეთთან დაკავშირებული მონაცემები. ორივე ღერძზე უნდა იქნას დაცული მასშტაბი და მითითებული იქნას რომელ ღერძზე რომელი ცვლადის მონაცემებია ათვლილი. კოორდინატა ღერძზე წერტილებით აღინიშნება ამ ცვლადების შესაბამისი მნიშვნელობა, რომლებიც შეერთდება ხაზებით, რის შედეგადაც ვიღებთ სხვადასხვა სახის მრუდებს.



სმირ შემთხვევაში, დამოუკიდებელ ცვლადს აქვს დისკრეტული მნიშვნელობა (გამოისახება მთელი რიცხვებით, მაგ.: 3 და 5-ორლებნიანების ფოთლების რიცხვი), ანდა ცვლადი გამოისახება ფიზიკურ ნიშანს (მაგ.: სისხლის ჯგუფები, რომელთაც დისკრეტულობა გააჩნია). ამ შემთხვევებში, გამოიყენება დიაგრამები და პისტოგრამები, რომლებიც შეიძლება იყოს სვეტების ანდა წრეების სახით.

ბიოლოგიური ობიექტების მონაცემების დამუშავება ხდება მათემატიკური სტატისტიკის ელემენტების გამოყენებით. ესენია: საშუალო არითმეტიკული - \bar{X} - გამოითვლება ასე - იკრიბება ყველა მონაცემი და ჯამი იყოფა იმ რიცხვზე, რამდენი მონაცემიც შევკრიბეთ.

$$\bar{X} = \frac{X_1 + X_2 + \dots + X_n}{n} = \frac{1}{n} (X_1 + X_2 + \dots + X_n)$$

$$= \frac{\sum X_i}{n} = \frac{1}{n} \sum X_i$$

მედიანა

მონაცემთა ვარიაციული მწკრივის შუაში მდგომი მნიშვნელობა. მასზე ნაკლები რიცხვითი მნიშვნელობის მონაცემთა რაოდენობა მასზე დიდი რიცხვითი მნიშვნელობის მონაცემთა რაოდენობის ტოლია.

გასაგებია, რომ თუ დაკვირვებულ მონაცემთა რაოდენობა კენტია, მაშინ მედიანა მართლაც არის ვარიაციული მწკრივის შუა ელემენტი. თუ დაკვირვებათა რაოდენობა ღუწია $n=2k$, მაშინ მედიანას უწოდებენ ვარიაციული მწკრივის შუაში მდგომი ორი ელემენტის საშუალო არითმეტიკულს.

1 2 3 4 5
↑
მედიანა = 3

1 2 3 4
↑
მედიანა = (2+3) : 2 = 2.5

თუ $n = 61$, მოდა არის 31-ე ჩანაწერი

თუ $n = 61$, მოდა არის 30-ე და 31-ე ჩანაწერების საშუალო


მოდა არის მონაცემებში ყველაზე ხშირად განმეორებადი ცვლადი. მაგ; 1, 1, 1, 2, 2, 2, 2, 3, 4 - ამ ცვლადების მოდა არის 2.

განვიხილოთ ასეთი მაგალითი. ოჯახში ბავშვების რაოდენობა, საშუალოდ, არის 2,4, მაგრამ რადგანაც ბავშვები დისკრეტული სიდიდეა, ბუნებრივია, ოჯახში ბავშვების რაოდენობა მთელი რიცხვია და მათი აღწერა ხდება მედიანით, რომელიც, ამ შემთხვევაში, არის 2.

ნორმალური განაწილების დროს საშუალო არითმეტიკულის, მოდის და მედიანას მნიშვნელობა ერთმანეთს ემთხვევა, ხოლო რაიმე გადახრის დროს - არა.

პარდი-ვაინბერგის კანონი. სახეობის არსებობის ძირითადი ფორმაა პოპულაცია. იმისათვის, რომ შევისწავლოთ პოპულაციაში მიმდინარე გენეტიკური პროცესები, გვეხმარება ჰარდი-ვაინბერგის კანონი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: თავისუფალი შეჯვარების დროს თაობაში გენების (შესაბამისად, ჰომო და ჰეტეროზიგოტების) შეფარდებითი სიხშირე არ იცვლება.

დავუშვათ, რომ პოპულაციაში დომინანტური და რეცესიული ფორმების თავისუფალი შეჯვარება ხდება და ეს ფორმები განსხვავდება 1 წყვილი ალელით AAaa. პირველ თაობაში F1 ყველა ჰომოზიდი ჰეტეროზიგოტი იქნება, ხოლო შემდეგ F2 და მომდევნო თაობებში მოხდება დათიშვა. თაობაში იქნება 1AA+2Aa+1aa. მომდევნო თაობებში ჰომო და ჰეტეროზიგოტების თანაფარდობა თავისუფალი შეჯვარების დროს გამოითვლება ასე:




როგორც ვხედავთ, ზიგოტები წარმოიქმნება შემდეგი კომბინაციებით:

	0,5A	0,5a
0,5 A	0,25 AA	0,25Aa
0,5 a	0,25Aa	0,25aa

იგივე თანაფარდობა განმეორდება შემდეგ თაობებში.


კითხვები განსჯისათვის

1. მოცემულია პისტოგრამა, სადაც ნაჩვენებია სისხლის ჯგუფების ფენოტიპები პოპულაციაში. უბასუხეთ შემდეგ კითხვებს: რომელი ჯგუფის სისხლი გვხვდება ყველაზე ხშირად? ყველაზე ნაკლებად? როგორ ფიქრობთ რომელი კონტინენტის პოპულაციაა წარმოდგენილი?




პასუხი: პირველი ჯგუფი. მეოთხე ჯგუფი. ასეთი ფენოტიპი დამახასიათებელია ევროპელებისათვის.

2. მოცემულ გრაფიკზე გამოთვალეთ მოდა, მედიანა და საშუალო



პასუხი: სამივე სიდიდე ემთხვევა ერთმანეთს და უდრის 1

3. მოცემულია გრაფიკი, რომელზედაც ნაჩვენებია ჭვავის ლეროს სიმალლე მმ-ში (გადათვლილია Y ღერძზე) დღეების მიხედვით (X ღერძზე). ამ გრაფიკის მიხედვით შეადგინეთ ცხრილი



პასუხი:

დღეები	2	4	6	8	10
ლეროს სიმალლე	2	4	10	15	25

ინფორმაცია

ილიას გზით

აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლე ახალგაზრდობა, ტრადიციულად, შეიკრიბა ჩვენი სულიერი მამისა და მოძღვრის, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში, რათა პატივი მიეცოთ მისი ნათელი ხსოვნისათვის და ხმა-მალა წარმოეთქვა უცვლადი სიტყვები: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენი, მამა-პაპათავანი: მამული, ენა, სარწმუნოება, თუ ამას არ ვუპატრონეთ, რა კაცნი ვიქნებით, რა პასუხი გავცეთ შთამომავლობას“...

საუკუნეები გვაშორებს დიდ ილიას, მაგრამ მისი იდეები ყველაზე მეტად ესადაგება დღევანდელობას. ჩვენი პროექტის მიზანია მომავალმა თაობამ უფრო სიღრმისეულად შეიცნოს ილიას მოღვაწეობა და მისდიოს მის მიერ გაკვალულ გზას. ამ სიტყვებით დაიწყო, 2013 წლის 8 ნოემბერს, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების სამმართველოს, სსიპ კი-

ნოცენტრ „აფხაზეთის“ და აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ სასწავლო-საგანმანათლებლო შემეცნებით პროექტი „ილიას გზით“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილმა 100-ზე მეტმა მოზარდმა. წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მოძღვარმა მამა დავითმა პარაკლისი გადაიხადა და პროექტის მონაწილეები დალოცა. წარმოდგენილ იქნა ლიტერატურული კომპოზიცია „ილიას გზით“ (აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირი „მომავლის ხმა“); შესრულდა ილიას ლექსებზე შექმნილი სიმღერები: „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ნაზი ბულბული“ (ფოლკლორული ანსამბლი „შავლეგო“); ქართული საგალობლები და აფხაზური სიმღერები. აფხაზეთის მე-2 და მე-3 საჯარო სკოლებმა წარმოადგინეს ინსცენირებები ილიას ნაწარმოებებიდან: „მგზავრის წერილები“, „ქართულის დედა“, „ოთარანთი ქერი“.

შეჯამდა სასწავლო-საგანმანათ-

ლებლო შემეცნებითი კონკურსის „რა ვიცით ილია ჭავჭავაძის შესახებ“ ბოლო ტურის შედეგები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გალის რაიონისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განთავსებული აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა: I ადგილი – **თამთა უბილავა, ნატო აქირთავა** (გალის რაიონის ჭუბურხინჯის №1 საჯარო სკოლა), პედაგოგი – **ციხლა ჯონჯუა**; II ადგილი – **დავით მორგოშია** აფხაზეთის მე-7 საჯარო სკოლა (სენაკი), პედაგოგი – **ეკა შელია**; III ადგილი – **ნოდარ ბალიშვილი**, აფხაზეთის 21-ე საჯარო სკოლა (ფოთი), პედაგოგი – **მანანა ურიდია; ლაშა აბლოთია** – აფხაზეთის მე-12 საჯარო სკოლა (ზუგდიდი), პედაგოგი – **თამარ კვარაცხელია**. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ქალაქ თბილისის მერიის, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის დირექციის დიპლომებით, ილია მუზეუმის სამუზეუმო ფონდში დაცული უნიკალური მასალების ამსახველი ფირებით, ნიგნებთა და ფასიანი საჩუქრებით, ილიას ექვსტომეულით.

თქაზე ილიას პორტრეტის საუკეთესოდ შესრულებისათვის სპეციალური პრიზი და ქების სიგელი გადაეცა ნორ მხატვარს, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის წევრს, **გიორგი ჩხაიძეს** (პედაგოგი – **დარეჯან გიორგაძე-ჩხაიძე**).

პროექტის მონაწილეებს მიესალმნენ და ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრეს: **დეკანოზმა მაქსიმე ჭანტურია**; აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დიმიტრი ჯაიანმა**; თბილისის მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა **შოთა მალაკელიძემ**; პროფესორმა **გრიგოლ შარია**; აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **თამაზ ხუბუამ**; თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის დირექტორმა **მზია ნადირაძემ**; აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მრჩეველმა **ლევან ესათიამ**; ქალაქ თბილისის საკრებულოს დეპუტატმა **კახა კუკავამ**; განათლების სამინისტროს მთავარმა სპეციალისტმა **ნონა ბერაიამ**; აფხაზეთის 21-ე საჯარო სკოლის პედაგოგმა **მანანა ურიდიამ**.

ლონისძიების დასასრულს, შეხვედრის მონაწილეებმა დაათვალიერეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ექსპოზიცია და გაეცნენ ახალ საგა-



მოფენო მასალას: „ქართველი განმანათლებლები“; ილია და აფხაზეთი“.

აქტიური სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის ქალაქ თბილისის მერიის სპეციალური დიპლომები გადაეცათ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების, კულტურის და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს მედიკო კვარაცხელიას და მთავარ სპეციალისტს იზონერა ბერაიას. აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მუზეუმის ფონდს გადასცეს თავიანთი ხელით დამზადებული მინანქრით მოჭიქული ბოლნური ვერცხლის ჯვარი.

პროექტის მეორე დღეს, 9 ნოემბერს აფხაზეთელმა მოზარდებმა მონაწილეობა მიიღეს ადგილებში: საგურამო, წინამური, სამთავრო, ნილკანი, ანანური, ჯვარი, მარიამ ღვთისმშობლის სახელობის დედათა მონასტერი, მოინახულეს წმინ-

და ნინოსა და მამა გაბრიელის საფლავები, დაესწრნენ წმინდა ილია მართლისადმი მიძღვნილ საზეიმო წირვას სვეტიცხოველში.

ექსკურსიის მონაწილეებს გილობას უწევდნენ: ქალბატონი **თამარ კობახიძე**, თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის დირექტორის მოადგილე და **ნელი ბუმბულიშვილი** – მუზეუმის ფონდების მთავარი შემნახველი.

აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირი „მომავლის ხმა“ მადლობას უხდის აფხაზეთის მთავრობასა და ქალაქ თბილისის მერიას საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტის „ილიას გზით“ წარმატებით განხორციელებისათვის განეული პარტნიორობისა და ფინანსური მხარდაჭერისათვის.

ივონერა ბერაია
პროექტის კოორდინატორი



10.09.2013



10.09.2013

სცენაზე არიან სტუდენტები, ლექტორები



თბილისის ტურიზმის აკადემიისა და დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მას-

წავლებლები ბევრ საინტერესო ღონისძიებას ახორციელებენ იმისთვის, რომ სამაგალითოდ შეასრუ-

ლონ სასწავლო პროგრამა, ზედმიწევნით დაეუფლონ სტუდენტები არჩეულ სპეციალობას. ამასთანავე, აქ ზრუნავენ იმისთვის, რომ თითოეული ახალგაზრდა განვითარდეს შემოქმედებითად, სულიერად; კერძოდ, დაეუფლოს ცეკვას, სიმღერას, მხატვრულ კითხვას, თეატრალურ ხელოვნებას. ამ მიზნით სასწავლებელში მუშაობს რამდენიმე შემოქმედებითი წრე.

სტუდენტებთან ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის, წინასწარი სამზადისის თავისებურ დემონსტრაციად იქცა 14 ნოემბერს სასწავლებლების საექტო დარბაზში გამართული საღამო-კონცერტი. კონცერტის მონაწილეებს და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი **ზურაბ სანადირაძე**. მან წარმატება უსურვა კონცერტის მონაწილეებს და სიტყვა გადასცა

სალამოს ნამყვანს, მსახიობ **ოთარ ანდლულაძეს**.

დარბაზში მაშინვე აგუგუნდა ქართული მრავალჟამიერი, რასაც მოჰყვა ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის „თამარისის“ მოცეკვავეთა გამოსვლა და რამაც დარბაზში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. შემდეგ გიტარაზე **გელა ოზბეთელაშვილმა** შეასრულა ქართული და უცხოური რომანსები, წარმოდგენილ იქნა იუმორისტული ნომრები... (**ო. ანდლულაძე, გ. ხაჩიძე, გ. ქურხული, გ. ფიცხვერაშვილი**).

სცენა დაეთმო უნივერსიტეტის დეკანს, ვოკალისტს – **რუსუდან მექვაბიშვილს**, რომელმაც შეასრულა რამდენიმე არია სხვადასხვა ოპერებიდან. მან ესტაფეტა გადასცა საქართველოს სახალხო არტისტს **მარიცა მალაფერიძეს**, რომელმაც მაყურებელს შესთავაზა არიები პუჩინის ოპერებიდან და გამოსვლა და-

ასრულა დიმიტრი არაყიშვილის ცნობილი სიმღერით „მე შენ გელი“.


დასასრულს, სიტყვა წარმოთქვა რექტორმა, პროფესორმა **ამირან მექვაბიშვილმა**.

„უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადაუხადო შემოქმედებით საღამოს ორგანიზატორებს, რომელთაც მართლაც შეძლეს ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდების ჩართვა შემოქმედებით სწავლა-დაოსტატებაში, საქმიანობაში. ამ სახის საქმიანობა კვლავაც გავრცელდება და ჩვენი ქვეყანა მიიღებს არა მხოლოდ კვალიფიციურ სპეციალისტებს, არამედ სულიერად, შემოქმედებითად ამაღლებულ კადრებს“ – აღნიშნა რექტორმა.

ხმითისპარ არჩემავშილი
ექვთიმე თაყაიშვილისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი, სრული პროფესორი

იუბილე

მისაბაძი პიროვნება, მოქალაქე, პიროვნება



ნლები სიმდიდრეა... კურდღელაურის საჯარო სკოლამ (2013-2014 სასწავლო წელს) 115-ჯერ გა-

ულო კარი სკოლაში მოსულ მოსწავლეებს. ალბათ ათეულ ათასობით ნამონაფარს ახსოვს სკოლის პირველი გამარჯვება და პირველი იმედგაცრუებაც, საინტერესო, შინაარსიანი ბავშვობა და მოზარდისათვის დამახასიათებელი უცნაური ახირებებით სავსე წლები. ახსოვთ, ახსოვთ... თუმცა არც სკოლა ივინყებს თავის ნამონაფარებს, მათ შორის ერთ-ერთი ღირსეული გიგი სუხიტაშვილია, რომელსაც 21 ნოემბერს 80 წელი უსრულდება. მრავალმხრივი და მრავალფეროვანია მის მიერ განვლილი გზა: თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების (1956წ) შემდეგ მუშაობა დაიწყო მათემატიკის

მასწავლებლად საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის სკოლაში; იყო შიბლიანის რეალიანი სკოლის დირექტორი (1960-1961); სოფელ კაკაბეთის საშუალო სკოლის დირექტორის პირველი მოადგილე (1961-1967); თელავის რაიონის სოფელ წინანდლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორი (1967-1969); ს/მ მექანიზაციის და ელექტროფიკაციის თელავის ტექნიკუმის მათემატიკის მასწავლებელი და დირექტორის მოადგილე (1969-1983); 1983 წლიდან 2004 წლამდე თელავის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო სპეციალისტი და მეშვიდე საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებელი. მისი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ და წარმა-

ტებებს აღწევდნენ რაიონულ და რესპუბლიკურ ტურებში, ოლიმპიადებსა და კონფერენციებში. წარმატებული პედაგოგიური მუშაობისათვის, 1984 წელს, მისი სახელი შეიტანეს რაიონის საპატიო წიგნში, ხოლო 1999 წელს დაჯილდოვდა საქართველოს განათლების სამინისტროს სიგელითა და გოგებაშვილის მედლით. თითქოს სხვათა მსგავსი ბიოგრაფია აქვს, მაგრამ... საქმეში მისი პრინციპულობა და შეუპოვრობა, პრომისმოყვარეობა და სამართლიანობა მის გვერდით მომუშავე ახალბედა პედაგოგებს ცხოვრების მეგზურად დაგვანათლა. ბატონ გივის, როგორც პიროვნებას, მოქალაქეს და პედაგოგს, რომელსაც მოპოვებული აქვს აღსაზრ-

დელების და კოლეგების ნდობა და პატივისცემა, 70 წლის იუბილე გადაუხადეს რაიონის მათემატიკის მასწავლებლებმა. ახლაც ქედს ვიხრით მის წინაშე, ვულოცავთ 80 წლის იუბილეს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად და ერთს ვეტყვით – ნაყოფიერი იყოს ჩვენთვის ისეთი ადამიანის გვერდით მოღვაწეობა, როგორც თქვენ ბრძანდებით, ბატონო გივი!

ნიმე ფიფაშვილი
სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის
სოფელ კურდღელაურის საჯარო
სკოლის მათემატიკის კათედრის
სახელით

ინფორმაცია

სოფლის სიხარული

შემოდგომის მზე ნაზად აფრქვევს სხივებს და ელამუნება ჩვენი ახალი სკოლის შენობას. მოციმციმე ათინათი დასთამაშებს დიდებსა და პატარებს. გული ხალისობს და ყველა ჩვენგანს ხალისიანი განწყობა გვეუფლება...

სასიამოვნოდ აწკრილდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლის ზარი. საზეიმო ვითარებაში მივულოცე შეკრებილებს ახალი შენობის გახსნა და სასწავლო წლის დაწყება. ჩვენთან ერთად იყვნენ რაიონის გამგებელი ბატონი ზაზა ურუშაძე და საგანმანათლებ-

ლო რესურსცენტრის უფროსი ქალბატონი ნინო ჩიტაძე, რომელმაც პირველკლასელებს ბუკები გადასცა. სტუმრებმა სკოლის მაკეტზე ავტოგრაფები დაგვიტოვეს და ჯანსაღი, ნიჭიერი თაობების აღზრდა გვისურვეს.

დღეიდან 230-ზე მეტი ბავშვი ისწავლის თანამედროვე სტანდარტებით აგებულ სკოლაში. ჩვენი საუცხოო სპორტდარბაზი თავისი საშაპეებით ხელსაყრელ პირობებს უქმნის ჯანსაღი თაობის აღზრდას. გულს ახალისებს მშვენიერი კაბინეტ-ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა. სკოლის ეზოს და გარემოს აღტაცებაში მოჰყავს მნახველი. ეს ყველაფერი სოფლის განძია. ჩვენ, ყველანი ვემადლიერებით სკოლის მშენებლებს: პირველ რიგში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, კომპანია ენ.ერ.ჯის, მის გენერალურ დირექტორს, ბატონ ზაზა რომანაძეს, პროექტის მთავარ არქიტექტორს, ბატონ ჯემალ ხერუაშვილს; მშენებელ ინჟინრებს: გიორგი მემანიშვილს, გიგლა მჭედლიშვილს, ყველას, ვინც დააგვირგვინა წლების წინ დაწყებული საქმე.

საუკუნის წინ ძველი სკოლის ადგილას ფიცრული შენობა მდგარა. სოფლის მკვიდრ ივანე მოისწრაფიშვილის მოგონებით, აქ სკოლა 1839 წელს გახსნილა. შემდეგ არასრული საშუალო სკოლის მშენებლობა 1958 წელს დაიწყო და ორ წელიწადში, 1960 წელს დამთავრებულა. დაწყებითი კლასის გამგე-მასწავლებლად ქალბატონი მკვამინია (ყენია) დობორჯგინიძე მუშაობდა. შემდეგ ქალბატონი რუსუდან ლიბარტიანი, რომელიც წლების შემდეგ თბილისის დახელოვნების ინსტიტუტში გადავიდა საშუალო. გულისტკივილით ვიგონებთ გარდაცვლილ პედაგოგებს: იდეა ხურციძეს, მერი დობორჯგინიძეს, გულნარა ჩხარტიშვილს, ლუიზა ჩხარტიშვილს. სხვადასხვა დროს სკოლას ხელმძღვანელობდნენ: ამირან ნიკოლაიშვილი, იაშა ჯიჯიშვილი, ლევან თალაკვაძე, ალიგა სიორიძე, რომელიც დღესაც ასწავლის მათემატიკას.

წლების წინ მკაცრმა კლიმატურმა პირობებმა დააზიანა აჭარის მაღალმთიანეთი. ეკომიგრანტების ნაკადით შეივსო სოფელი და შესაბამისად სკოლის კონტინგენტი, რამაც 1991 წელს ჩვენი სკოლის საშუალო სკოლად გადაკეთება განაპირობა. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში არაერთი წარმატებული თობა აღიზარდა ამ შენობაში.

ხაჯალიის სკოლის კურსდამთავრებულები არიან ჩვენივე სოფ-



ლის მკვიდრნი: ბატონი კარლო თავაძე, აგრონომი, რომელიც 1970-75 წლებში ავღანეთში მიავლინეს, როგორც საუკეთესო სპეციალისტი; გულისხმიერი ექიმი, ქალბატონი მზია ჩხარტიშვილი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თენგიზ მოისწრაფიშვილი; „ეტალონში“ გამარჯვებული გიგი ქაცარიძე. იგი ამჟამად ქალაქ ფოთის პორტში კადრებს ხელმძღვანელობს.

ჩვენს სკოლაში ოცდასამი პედაგოგია, აქედან ოთხი – სერტიფიცირებული. ქალბატონი რუსუდან აფხაზავა ქიმიას ასწავლის, ჩააბარა ქიმიის ექსპერიმენტალური ნაწილი; ბატონი ზაურ გოგიტიძე, რომელმაც კომაროვის სკოლის დამთავრების შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, მათემატიკას ასწავლის; ია გოგიჩაიშვილი ინგლისური ენის ახალგაზრდა მასწავლებელია; თამარ სანიკიძე – დაწყებითი კლასების მასწავლებელი; ხელოვნებას ასწავლის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული გიორგი თავაძე.

ჩვენს სკოლაში ორი თაობა მონაცვლეობს – უფროსი, რომელთა

გამოცდილება, პროფესიონალიზმი, ენთუზიაზმი ავსებს ახალგაზრდა თაობას.

მინდა მადლობა ვუთხრა იმ მასწავლებლებს, ვინც ჩვენი სკოლის ღირსება დღემდე მოიტანა: აკაკი თავდგირიძეს, ნოსტრეან სურმანიძეს, ნინო გურგენაძეს, იუნონა ბარამიძეს, ზურაბ დიასამიძეს, დოდო სულაბერიძეს, ქეთევან ჩავეიშვილს, გელა გურგენაძეს, მარინა ხაჩიძეს; ტრადიციების გამგრძელებელ ახალგაზრდა თაობას: ხათუნა კვერენჩხილაძეს, ნაირა ჩხარტიშვილს, თამარ ნიკოლაიშვილს, ნათია აფხაზავას, თამარ ორმოცაძეს, ქეთევან კვაჭაძეს, სალომე გურგენაძეს, ნატო თავაძეს, მაკა ახვლედიანს, თამარ ცეცხლაძეს.

ახალი გარემო და სკოლის საუკეთესო პირობები სტიმულის მომცემია პედაგოგებისა და ახალგაზრდებისათვის. ვიმედოვნებთ წლები და მომდევნო სასწავლო წლები ბევრ ნიჭიერ პედაგოგსა და მოსწავლეს გამოავლენს.

ხათუნა აფხაზავა
ხაჯალიის საჯარო სკოლის
დირექტორი



სპორტი

სემინარი ახალგაზრდულ პრობლემებზე

თბილისში 3 დღე მიმდინარეობდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ევროკავშირის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სემინარი ახალგაზრდული პოლიტიკის თემაზე საკანონმდებლო ინიციატივების შესამუშავებლად. სემინარს ესწრებოდნენ სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელარუსის და მოლდოვას სპორტის მინისტრები, ხოლო საერთაშორისო ექსპერტებს შორის იურგენ მეთი და ბარბარა ჯოვანა ბელი წარმოადგენდნენ.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში, ისედაც ახორციელებს რეფორმებს, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდობის მიმართულ კანონმდებლობის გან-

ვითარებას და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან მის თანხვედრას. ეს სემინარიც სწორედ ამას ისახავს მიზნად – უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციებით შემუშავდეს ეფექტური, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი საკანონმდებლო ბაზის პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება პარლამენტს.

სემინარმა საქმიან ვითარებაში ჩაიარა, სადაც მონაწილეებმა არა ერთი საინტერესო იდეა გაუზიარეს ერთმანეთს, იყო დისკუსია, სჯავადასი ახალგაზრდობის სხვადასხვა საჭიროებო საკითხებზე. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე.



საკლუბო ჩემპიონატი ჭაბუკებში

საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ ახალი ნოვაცია წამოიწყო – საკლუბო ჩემპიონატი ჭაბუკთა უმცროს ასაკში, რომელიც 14 დეკემბერს გაიმართება. ის ამჯერად მხოლოდ ე.წ. საფესტივალე ასაკში – 1998-99 წლებში დაბადებულთა შორის ჩატარდება, ეს ის ასაკია, 2015 წელს თბილისში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში რომ უნდა იასპარეზონ. ეს ამბავიც იმ ღონისძიებამ დააჩქარა, რადგან ჯერ კიდევ სკოლების მოსწავლეებს კიდევ ერთი შანსი ეძლევათ დასასოცტატებლად, მწვრთნელებს

– შემადგენლობის შესარჩევად. ჩემპიონატი ძიუდოს განვითარების ფონდის ხელშეწყობით ტარდება. ამჟამად მიმდინარეობს კლუბების რეგისტრაცია. ბევრი მათგანი, რეალურად, უკვე შექმნილია და მხოლოდ დარეგისტრირება აკლია, ბევრი კი ახლა იქმნება როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ვფიქრობთ, საკლუბო ჩემპიონატის ამოქმედებით დიდი საქმე გაკეთდება, რადგან ამით თავის გამოჩენის შანსი ბევრ ისეთ სპორტსმენს მიეცემა, ვინც ნაკრებში ვერ ხვდება.

მოკრივეთა წარმატება

ამ უქმეებზე ქართველმა მოკრივეებმა წარმატებით იჩიხეს რუსულ ანაპაში ჩატარებულ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატში, სადაც 4 მედალი მოიპოვეს – თითო ოქრო-ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ანაპაში ჩვენგან ყველაზე უკეთ გიორგი ხარაბაძემ (66) იასპარეზა, რომელმაც ნახევარფინალში იტალიელ ფილიპო გრესანის აჯობა, ფინალში კი უკრაინელი სტერან გრეკული დაჯაბნა.

ნახევარფინალში როს ანდრეი პანკოვთან მოგების შემდეგ ანალოგიურ წარმატებამდე ერთადერთი, თუმცა კი მთავარი შეხვედრის მოგება მართებდა რატი ტლაშაძეს, მაგრამ

მას ფინალური პაექრობა ფრიად გულდასაწყვეტი, თუმცა კი ობიექტური მიზეზით უბრძოლველად დაათმობინეს – ტრავმის გამო მსაჯებმა ფრანგ ლუი ტოტისთან საჩხუბრად რინგზე არ გაუშვეს.

ბრინჯაოს მედალები გიორგი ჩარგაზიამ (46) და უჩა მისურაძემ (52) მოიპოვეს. ჩარგაზია ნახევარფინალში აზერბაიჯანელ რუფატ ჰუსეინოვთან დამარცხდა და ბრინჯაოს დასჯერდა, მაისურაძემ კი იმავე ეტაპზე რუს ტამერლან ხანჩიგიევთან წააგო.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მესამეზე გავიდა.



წარმატება ჰოლანდიასთან და შესარჩევში

საქართველოს 19-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებმა წარმატებით ჩაატარა თბილისში გამართული ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი და ელიტ-რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა.

ჩვენებმა ელიტ-რაუნდის საგზური ორი ტურის შემდეგ მოიპოვეს, როცა ჯერ უელსს 5:1 მოუგეთ, მერე კი მოლდოვას – 2:0. მესამე შეხვედრა ჰოლანდიასთან სატურნირო თვალსაზრისით არაფერს წყვეტდა, მაგრამ მეტოქის ავტორიტეტიდან გამომდინარე, მათთან წარმატება ჩვენთვის პრინციპის საკითხი იყო. საბოლოოდ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა – ჩვენებმა 2:1 იმარჯვეს, რამაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი დააფიქსირა – ქართული ფეხბურთის ისტორიაში, პირველად მოუგეთ ჰოლანდიას; ამით ვასილ მისურაძემ და მისმა შეგირდებმა რევანში აიღეს შარშან, ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ნახევარფინალში გულდასაწყვეტი მარცხისთვის; ამ ნაგებზე ჩვენებმა ჰოლანდია ჯგუფში ჩატოვეს.



19-წლამდელთა ახლანდელი ნაკრები 17-წლამდელთა ფორმაციის გუნდია (ცხადია, საკადრო ცვლილებებით). ეტყობა, მათ მწარედ ახსოვდათ ზემოაღნიშნული ნაგება ევროპის პირველობის ნახევარფინალში და, ალბათ, ამიტომ ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე მაისურაძის შეგირდებმა თავიდანვე მწვავედ შეუტყეს „ტიტებს“ და ინიციატივა მთელი შეხვედრის განმავლობაში არ დაუთმოთ. ჩვენებმა მკაცრი პრესინგით მეტოქე დასაწყისიდანვე გამოკეტეს საჯარიმოში და ასე გაგრძელდა ბოლომდე, ცალკეული გამონაკლისების გარდა. უელსთან შეხვედრის დარად, ჩვენებმა პირველი გოლი ამჯერადაც მე-11 წუთზე გაიტანეს – ლუკა კიკაბიძე მარცხენა ფლანგიდან წარმატებით შეიჭრა საჯარიმოში და მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ კიპერმა იყოჩაღა. სამაგიეროდ, გადმოვარდნილ ბურთს ყველაზე ადრე გიორგი პაპუნაშვილი დაეუფლა, მეკარე კი მის წინაშე უძლური აღმოჩნდა – 1:0. კიკაბიძე მალევე სოლო-რეიდით ისევ დარჩა მეკარესთან მარტო, მაგრამ ვერც ამჯერად აჯობა. მას ლუკა ზარანდიაც კარგად უბამდა მხარს, თუმცა პირველ ტაიმში მეტის გატანა ვერ შეძლეს. პირიქით – ტაიმის მიწურულს თავად გაუშვეს, როცა ბასა ჩიკოლელს თავის რიკაირო ჟიგოვიჩმა წარმატებით დაამატა – 1:1. ჩვენი ბიჭების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ

ასეთ დრამატულ დროს გაშვებულ გოლს მათზე არ უმოქმედია და შესვენების შემდეგაც გააგრძელეს აქტიური, რაც მთავარია, გააზრებული და ბოლო წლების ქართული რეალობისთვის არატიპური, თანამედროვე სტილის ფეხბურთი. ისინი თავიდანვე გოლზე იყვნენ აქცენტირებულნი და შედეგად მალევე მიიღეს – 5:3-ე წუთზე გიორგი აბურჯანიამ პაპუნაშვილთან სამკუთხედი გაითამაშა და მეკარესთან პირისპირ გასულმა შანსიც გამოიყენა – 2:1.

სახიფათო მომენტები ამის შემდეგაც იქმნებოდა ორივე კართან, ნაგების შიშმა სტუმრებიც გამოაფხიზლა და შეტევები მათაც გაამწვავეს, თუმცა ანგარიში აღარ შეცვლილა და ჩვენებმა მოიგეს, რაც ჰოლანდიელებისთვის კატასტროფა აღმოჩნდა – პარალელურად მიმდინარე მატჩში ჩვენგან განადგურებულმა უელსმა მოლდოვა 6:0 დაანოკა და, რადგან ჰოლანდიელებთან 1:1 ჰქონდა ნათამაშები, ბურთების უკეთესი შეფარდებით გადაუსწრეს მათ, მეორეზე თვითონ გავიდნენ, ჯგუფის ფავორიტი ჰოლანდია კი მესამეზე ჩატოვეს. თუმცა, მათ მაინც შეუძლიათ ელიტ-რაუნდში მოხვედრა, ყველა ჯგუფებში შესარჩევი ეტაპის დასრულების შემდეგ საუკეთესო მესამე ადგილოსანის ნოდებას მოიპოვებენ.



რუბრიკას უძღვება ირაპლი თამაძე



წიგნის
თარო

მიმდინარეობს

ხელმოწერა



წიგნის
თარო

ბთავაზოვით ტექსტების კრებულს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საათმეცნიერო გამოცდის მოთხოვნებს.



წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

◆ კრებულებში ნახვით თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

◆ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საბავშვო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

◆ სწორი პასუხების შემოწავის შედეგად თქვენ გაქვებთ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

◆ თქვენ შექვებთ დაქლივით ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულის შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით „სახლი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეკროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

1. ცისფერი ბაღიანი - დედა
2. ჰორაციუსის ფიცი - შაკლუი დავიდი
3. მწვანეთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლუს-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მინიები - ველსკისი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
9. უძლივი შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძინებელი - რენუარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. ფორმები
5. გარეული ფრინველები
6. პრეზენტები
7. სილ-გოსტინული
8. ტანსაცმელი
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ზღვის ბინადრები
12. ინგლისური ანბანი
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მატალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. მსოფლიოს რელიგიები
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. ქართული ხალხური სპორტები
4. ძველმეცნიერების საქართველოში
5. საქართველოს მცენარეები
6. ადამიანის კუთხოვანი სისტემა
7. ნიბაბი - სიცოცხლის წყარო
8. ძველი რეგი
9. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
10. სამხაროს წარმოქმნა
11. მსოფლიოს შვიდი სოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელუშანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაულუ იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ ბრიჯაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ სუცენი
14. იონანე საბანიძე
15. დავით გურამიშვილი
16. გენიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. რუსთაველი
20. თეიმურაზ I
21. ვახტანგ VI
22. გიორგი მერჯული
23. გრიგოლ ორბელიანი
24. დავით აღმაშენებელი
25. გრიგოლ როგაძიძე

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

მიმდინარეობს ხელმოწერა

- „მსოფლიო ლიტერატურის ქლასიკოსები“
- ალბერტო მორავია - მოწყენილობა
 - ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
 - ბილბერტ კ. ჩისტერტონი - დონ კიხოტის დაბრუნება
 - მარგარეტ ღიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
 - ალბერ კოენი - დედაჩემი
 - ჯონ გოლდსმორთი - რჩული მოთხრობები
 - პროსპერ მერიმი - ილელი ვენერა
 - უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
 - ჯონ ბრაინი - გზა ელითისაკენ
 - ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დინასხლისი
 - მონრა და პალზაკი - მამა გორიო
 - ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
 - ემილ ზოლა - ძალთა ბედნიერება
 - ალექსანდრე დიუმა - კავკასიი
 - ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
 - ჰენრი რაიდიერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
 - სტენდალი - ნითელი და შავი
 - ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
 - ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
 - ერის მარია რემარკი - საში მებოგარი
 - შოლერო და ლაკლო - სასიყვართო კავშირები
 - ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
 - შტაფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულისა
 - მაინ რიდი - კვარტარონი
 - ვილჰელმ ჰაუფი - ლისტენბაინი
 - თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
 - ნიკოლაი გოგოლი - რჩული მოთხრობები
 - გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი

თითო ტომის ფასი - 12 ლარი



საპარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში



წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაკლიოს ტექნიკურად დაკავშირებული თუ, საზოგადოებრივ, ქართული მართლწერისა და მართლმეცხველების სირთულეები.



ფასი - 9 ლარი.



სიასტა

ქართული აბიგრაფიული ნაწარმოების ტექსტები წიგნი ახლებური ფორმითაა წარმოდგენილი - მათი ენობრივი განმარტებები სქოლიოში ან გამოცემულ ლექსიკონში კი არ არის მოცემული, შერწყმული და ინტეგრირებულია თვით ტექსტებთან, რაც ახალგაზრდა მკითხველს, საერთოდ, ლიტერატურის შემსწავლელს უთუოდ გაუადვილებს ძველი ქართული პროზის ნიმუშების აღქმასა და გაგებას.


ფასი - 4 ლარი.



კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე
9 ლარი



„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი




მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი




საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი



ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
რენესანსიდან დღემდე
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი

„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაკვალად 11 ლარისა
9 ლარი

- ❖ მსოფლიოს 7 საოცრება
- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები

- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბარძეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაპირული ძალაძები
- ❖ ძიგნი
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, - 11 ლარი
- ❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი - 11 ლარი
- ❖ ლევან გომთუა (7-ტომეული), I-II ტომი - 16 ლარი
- ❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი - 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII, VIII, IX, X ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VII ტომი - 12 ლარი
- ❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი - 12 ლარი
- ❖ ოთია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი - 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი - 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბატაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >